პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 2 (4512)

1972 წ. 4 იანვარი, სამშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან





## ...არც სპორტში დაუთმონ ვინმეს პირველობა

ახალი წელია. თბილისის სპორტის სასახლეში ნამდვილი დღესასწაული დაიწყო. ამ დარბაზს ბევრი სპორტული ზეიმი ახსოვს, ბევრი სიხარული და ტაში, მაგრამ ეს სხვაა. ახლა შუა დარბაზში ვეებერთელა ნაძვის ხე აღმართულა. დგას ლამაზი, აბრიალებული, ლამის ჭერს მიუწვდინოს წვერი. ირგვლივ ბავშვები ირევიან. დღეს ისინი არიან აქაურობის ბატონ-პატრონები. ნაკადი მოდის, ნაკადი მიდის. ცეკვავენ, მღერიან, თამაშობენ, ლექსებით ეჯიბრებიან ერთმანეთს. ცოტა ხნის მერე ქიდაობა და კრივიც იწყება (სპორტის სასახლეა მასპინძელი, რაც უნდა იყოს). ამ დროს ეს ამოდენა დარბაზი ისე გაინაბება, ბუზის გაფრენას გაიგონებ. მერე კი უცებ მოწყდება ტაში და ისეთი ჟრიამული, ყველაზე თავგამოდებული ფეხბურთის შემატკივრებიც რომ ვერ დაიტრაბახებენ.

მერე ისევ მოდის ახალი წლის ტკბილი მეკვლე — თოვლის პაპა. პირთამდე სავსე ხურჯინს თავს მოხსნის და თვალებად ქცეულ ბავშვებს ათასი რამით დაასაჩუქრებს. თოვლის პაპას უნდა ეს პატარა გოგო-ბიჭები კარგი მამულიშვილები დაიზარდონ, სწავლაშიც ისახელონ თავი, შრომაშიც, და არც სპორტში დაუთმონ ვინმეს პირველობა ალბათ ამიტომ ურიგებს გარს შემოხვეულ პატარებს ჩვენი განთქმული სპორტსმენების სურათებსაც — დასვდონ ამ მედლებსა და ჯილდოებს, დაფიქრდნენ, სიამაყე იგრძნონ და გულმა თვითონაც ასეთი სასახელო საქმეებისკენ გაუწიოთ.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

## ორი წლის მიჯნაზე

ლენინგრადი, 2 იანვარი. უკვე ტრადიციად იქცა, რომ ზამთრის ცურვის კლუბში „დიდი ნევა" სტარტს წლის მიწურულს იღებენ, ფინიში კი ახალ წელს ეწყობა. ამჯერადაც ლენინგრადელი „ლომვეშაპები", როგორც ზამთრის ცურვის მოყვარულებს უწოდებენ, პეტრე-პავლეს ციხესიმაგრესთან ყინულოვან წყალში ახალი წლის დადგომამდე ზუსტად 5 წუთით ადრე შევიდნენ, ხოლო როცა ნაპირზე მათ თოვლის ბაბუა და ფიფქია შეეგებნენ, უკვე 1972 წელი იყო. მერე გაცურვის მონაწილეები კლუბში გაშლილ სადღესასწაულო სუფრას შემოუსხდნენ. იქვე იდგა გაჩირაღდნებული საახალწლო ნაძვის ხე.

სხვათა შორის, ლენინგრადელი „ლომვეშაპების" კლუბი უკვე ა50 კაცს ითვლის — მუშებს, ინჟინრებს, მეცნიერებს, სტუდენტებს, მსახიობებს... (საკდესი).

## ...და მაინც დიდი წარმატება!

მელბურნი, 3 იანვარი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატში მოასპარეზე თბილისელი ჩოგბურთელი ა. მეტრეველი მხოლოდ ნახევარფინალში დამარცხდა. შეჯიბრებას თავიანთ ნება-სურვილს პროფესიონალები „უკარნახებდნენ" და მეტრეველის თამაშს, ამ წაგების მიუხედავად, ადგილობრივი სპეციალისტები და ჟურნალისტები ძალიან დიდ ხოტბას ასხამენ. ეს მეტრეველის დიდი წარმატებააო, ერთხმად აღნიშნავენ ისინი. ნახევარფინალში თბილისელი ცნობილ ავსტრალიელ ჩოგბურთელს მ. ანდერსონს შეხვდა და გამარჯვებასთან ახლოსაც იყო. ამ მატჩმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. საბოლოოდ, მეტრეველმა წააგო — 2:6, 6:7, 6:7. ისიც უნდა ითქვას, რომ 36 წლის ანდერსონმა მეოთხედფინალში სძლია უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონს, ფაქტიურად, მსოფლიო ჩემპიონს, 27 წლის ავსტრალიელ პროფესიონალ ჯ. ნიუკომბს.

ნახევარფინალში მეტრეველთან ერთად სამი ავსტრალიელი გავიდა: ჯოფილი პროფესიონალი ანდერსონი და კონტრაქტით მოთამაშე პროფესიონალები ა. სტოუნი და კ. როზუოლი.

ტურნირში გაიმარჯვა როზუოლმა. ამ 37 წლის ვეტერანმა ავსტრალიის ჩემპიონის სახელი პირველად 1953 წელს მოიხვეჭა და შემდგომში ეს წარმატება ორჯერ გაიმეორა. მას ბევრ სხვა დიდ შეჯიბრებაშიც გაუმარჯვნია, არაერთხელ გასულა უიმბლდონის ტურნირის ფინალში. ნახევარფინალში როზუოლმა სტოუნს სძლია (7:6, 6:1, 3:6, 6:2), მერე კი ფინალში — ანდერსონს — 7:6, 6:3, 7:5.

ქალთა შორის პირველი იყო ინგლისელი ვ. უეიდი, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში აჯობა უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონს, 20 წლის ავსტრალიელ ი. გულაგონგს — 6:4, 6:4.

მელბურნში გამართული შეჯიბრება, რომელიც 1971 წელს დაიწყო, უკანასკნელია, რომელშიც მოყვარულებთან ერთად პროფესიონალებიც გამოდიოდნენ. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, 1972 წლიდან ამგვარი „შერეული" ტურნირები აღარ მოეწყობა.

მოსკოველი ო. მოროზოვა და ა. მეტრეველი განაგრძობენ ტურნეს ავსტრალიაში, სადაც თბილი, მზიანი ამინდი დგას.

## ოლიმპიური ჩირაღდნის გზა

ტოკიო, 2 იანვარი. საბერძნეთიდან ჩამოტანილმა ოლიმპიურმა ჩირაღდანმა დღეს იაპონიის მიწაზე გააგრძელა გზა საპოროსკენ — XI ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქისკენ. ტოკიოს ეროვნული სტადიონიდან ჩირაღდანი პირველმა იაპონიის დედაქალაქის უნივერსიტეტის „მეიძის" სტუდენტმა ტომოკო კუროსავამ წაიღო.

ოლიმპიურმა ჩირაღდანმა 4800 კილომეტრი უნდა გადალახოს და საპოროში 29 იანვარს ჩავიდეს. „თეთრი ოლიმპიადის" გახსნის დღეს — 3 თებერვალს ფიგურული ციგურაობის ოსტატი ი. ცუძიმურა და ტანმოვარჯიშე ხ. ტაკადა საპოროს „მაკომანაის" სტადიონზე დაანთებენ ოლიმპიურ ცეცხლს.

## ქურნალისტური კალმების კონკურსი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ შეაჯამეს პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის გაშუქების საკავშირო კონკურსი.

კონკურსის ლაურეატთა შორის ვხვდებით ცნობილ ქართველ სპორტულ კომენტატორს კ. მახარაძეს, რომელმაც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის სამახსოვრო მედალი და ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის სიგელი დაიმსახურა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სიგელით დაჯილდოებულია გაზეთ „ლელოს" მუშაკთა კოლექტივიც.

## როცა გაზეთი იბეჭდებოდა, ჯერ იყო... $19^{45}$

◆ სან-პაულუ, 3 იანვარი. საახალწლო „კორიდა სან-სილვესტრეში" გამარჯვებულმა მექსიკელმა რ. პალომარესმა II ადგილი დაიკავა 5000-მეტრიან გარბენში, რომელშიც „კორიდაზე" ჩამოსული სხვადასხვა ქვეყნის მძლეოსნები მონაწილეობდნენ. ყველას აჯობა ჩილიელმა ე. ბრავომ. მას და პალომარესს ერთნაირი დრო (14.47,6) ჰქონდათ და გამარჯვებული ფოტოფინიშმა „დაასახელა". გარბენს ავდარი (წვიმა, ქარი) დაესწრო. სხვა მანძილებზეც სტუმრებმა იმარჯვეს: ბელგიელმა ე. პუტემანსმა (1500 მ — 3.53,3), ფინელმა ი. ვაატაინენმა (3 კმ — 8.19,6), კოლუმბიელმა ვ. მორამ (10 კმ — 30.59,6).

## რეკორდები

ინცელი (გფრ), 2 იანვარი. 500 მეტრზე ციგურებით სწრაფრბენაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა დასავლეთგერმანელმა ერჰარდ კელერმა, რომელმაც ადგილობრივ ხელოვნურ ყინულზე ეს მანძილი 38,30 წამში დაფარა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 27 წლის კელერმა 0,12 წამით გააუმჯობესა შარშან 14 მარტს მის მიერვე ამავე საციგურაოზე ნაჩვენები უმაღლესი მიღწევა. მსოფლიო რეკორდი დამყარებულია საერთაშორისო „ოთხი საციგურაოს ტურნეს" მეორე დღეს. კელერმა პირველი 100 მ ჯერ არნახული სიჩქარით — 9,68 წამში დაფარა.

## ახალი ამბები

● ბელგრადი, 1 იანვარი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში ადგილობრივი „პარტიზანის" ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა ანგარიშით 27:8 (18:2) დაამარცხა ისლანდიის ჩემპიონი „რეიკიავიკი" და ნახევარფინალში გავიდა (ამ კოლექტივთა პირველი შეხვედრაც იუგოსლაველთა გამარჯვებით დამთავრდა — 23:14). „პარტიზანამდე" ნახევარფინალის საგზურები მოიპოვეს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა და ჩეხოსლოვაკიის „ტატრანმა". ნახევარფინალური თამაშების კიდევ ერთი მონაწილე უნდა გამოვლინდეს „გუმერსბახისა" (გფრ) და „ოპსალის" (ნორვეგია) განმეორებითი მატჩის შემდეგ.

● დავოსი, 1 იანვარი. ლენინგრადის არმიელ ჰოკეისტთა გუნდმა ზედიზედ მეორე წელია მოიპოვა „სპენგლერის თასი". ამ საპატიო პრიზისთვის აქ გამართული საინტერესო ტურნირის დასკვნით მატჩში არმიელებმა სძლიეს ბრატისლავის „სლოვანს" — 5:3.

● მოსკოვი, 1 იანვარი. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა ასუჭრიან შაშში სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება მიანიჭა მ. კორხოვს (ოდესა, შეიარაღებული ძალები).

● ბონი, 2 იანვარი. დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" ფეხბურთელთა გუნდმა აქ ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ბონი". „დნეპრი" გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კიდევ სამ შეხვედრას გამართავს.

● სან-პაულუ, 2 იანვარი. ბრაზილიის ამ ქალაქის ქუჩებში გამართული ტრადიციული, 47-ე საახალწლო გარბენი მექსიკელმა რაფაელ ტადეო პალომარესმა მოიგო. სპორტულ სამყაროში „კორიდა სან-სილვესტრეს" სახელწოდებით ცნობილი ამ საერთაშორისო შეჯიბრების 8700-მეტრიანი რთული ტრასა (აქ ბევრი აღმართი და დაღმართი იყო) მექსიკელმა მძლეოსანმა 23 წუთსა და 47,8 წამში დაფარა. ამ შეჯიბრების სტარტი, როგორც ცნობილია, ძველი წლის მიწურულს ეწყობა, ფინიში კი 1 იანვარს. ბრძოლაში ბევრი ქვეყნის 185 მორბენალი ჩაება. თავდაპირველად ლიდერთა ჯგუფში სამი კაცი შედიოდა: პალომარესი, კოლუმბიელი ვიქტორ მორა და 2 მილზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენი, ბელგიელი ემილ პუტემანსი, რომელსაც სურდა თანამემამულეთა წარმატების გამეორება (ბელგიელებმა „კორიდაში" ხუთჯერ გაიმარჯვეს; მათ შორის, ოთხჯერ — გასტონ რულანტსმა). მაგრამ დისტანციის ნახევრის შემდეგ ბელგიელი ჩამორჩა, მექსიკელმა კი, პირიქით, მკვეთრად უმატა ტემპს, განსაკუთრებით ბოლო კილომეტრზე.

● ჰელსინკი, 2 იანვარი. მოსკოვის „დინამოს" ჰოკეისტთა გუნდმა I ადგილი დაიკავა ფინეთის საციგურაოებზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში „ტორონტოს თასზე". ტურნირის ბოლო მატჩში მოსკოველებმა მწვავე ბრძოლაში სძლიეს შვეციის „ტიმროს" — 5:4 და ათიდან 10 ქულა დააგროვეს.

● ნიუ-იორკი, 2 იანვარი. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ „სამთა ტურნირში" მოსკოვის ცსკა-ს ჰოკეისტთა გუნდმა შეჯიბრების დამთავრებამდე გაინაღდა პირველობა. სტუმრებმა დიდი ანგარიშით (11:1) დაამარცხეს ამერიკული გუნდი „სტეფენს ბიუიკი" და მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდნენ.

● გარმიშ-პარტენკირხენი (გფრ), 2 იანვარი. „ოთხი ტრამპლინის ტურნეს" მონაწილე „მფრინავი მოთხილამურეები" ინსბრუკიდან აქ ჩამოვიდნენ და ამ ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების მეორე ეტაპი გამართეს. როგორც ავსტრიის ქალაქში, პირველობა აქაც იაპონელმა ი. კასაიამ მოიგო — 242,9 ქულა (ნახტომები — 92,5 და 93,5 მ). ასპარეზობას დაახლოებით 15000 მაყურებელი დაესწრო.

ახალი ამბები

ფეხბურთი

# 18 მწვრთნელის ნაკრები

„სოვეტსკი სპორტის" რედაქციას წესად აქვს ყოველი წლის დასასრულს სსრ კავშირის ნაკრები გუნდებისა და უმაღლესი ლიგის კოლექტივების უფროს მწვრთნელებს მიმართოს თხოვნით — დაასახელონ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის თავიანთი ვარიანტები. ასეთი ანკეტა ახლაც მოეწყო.

მწვრთნელების მიერ შედგენილი გუნდები გარკვეულ ინტერესს იწვევს, ამიტომ მათ ჩვენს მკითხველებსაც ვთავაზობთ:

ვ. ნიკოლაევი (სსრ კავშირის ნაკრები და ცსკა): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ლოვჩევი, კისელიოვი, ანდრიასიანი, კოლოტოვი, იშტოიანი, კოპეიკინი, შევჩენკო.

ა. პარამონოვი (სსრ კავშირის ნაკრები): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ისტომინი, ანდრიასიანი, ფედოტოვი, კოლოტოვი, იშტოიანი, ბიშოვეცი, შევჩენკო.

ა. პონომარიოვი (სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, აბრამოვი, ხურცილავა, მატვიენკო, კოლოტოვი, ანდრიასიანი, ვერემეევი, იშტოიანი, კოპეიკინი, ევრიუჟიხინი.

ა. სევიდოვი („დინამო", კიევი): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, სოსნიხინი, ხურცილავა, მატვიენკო, მუნტიანი, დოლმატოვი, კოლოტოვი, შევჩენკო, პუზაჩი, ხმელნიცკი.

ნ. გლებოვი („არარატი"): რუდაკოვი, ლოგოფეტი, სოსნიხინი, ხურცილავა, ზიკოვი, კისელიოვი, ანდრიასიანი, კოლოტოვი, იშტოიანი, მარქაროვი, კოპეიკინი.

გ. კაჩალინი („დინამო", თბილისი): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ზიკოვი, მუნტიანი, ანდრიასიანი, კოლოტოვი, იშტოიანი, გ. ნოდია, მახოვიკოვი.

გ. ზონინი („ზარია"): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ჟურავლიოვი, ხურცილავა, მატვიენკო, მაჩაიძე, კოლოტოვი, ზანაზანიანი, იშტოიანი, სემიონოვი, შევჩენკო.

კ. ბესკოვი („დინამო", მოსკოვი): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ზიკოვი, ფედოტოვი, დოლმატოვი, კოლოტოვი, შევჩენკო, ბიშოვეცი, იშტოიანი.

ნ. სიმონიანი („სპარტაკი", მოსკოვი): რუდაკოვი, ლოგოფეტი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ზიკოვი, კისელიოვი, ანდრიასიანი, კოლოტოვი, იშტოიანი, ბიშოვეცი, შევჩენკო.

ვ. მასლოვი („ტორპედო", მოსკოვი): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ზიკოვი, მუნტიანი, დოლმატოვი, კოლოტოვი, იშტოიანი, მარქაროვი, შევჩენკო.

ვ. კოროლკოვი („ყაირათი"): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, სოსნიხინი, მატვიენკო, კონკოვი, დოლმატოვი, კოლოტოვი, იშტოიანი, მარქაროვი, კოზინკევიჩი.

ა. მამედოვი („ნევთჩი"): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ლოვჩევი, მუნტიანი, ფედოტოვი, კოლოტოვი, შევჩენკო, ბანიშევსკი, კოზლოვი.

ე. იუსტი („კარპატი"): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ზიკოვი, მუნტიანი, დოლმატოვი, კოლოტოვი, გრეშჩაკი, კოპეიკინი, შევჩენკო.

ი. მოზერი („დინამო", მინსკი): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, სოსნიხინი, ხურცილავა, მატვიენკო, მუნტიანი, დოლმატოვი, კოლოტოვი, შევჩენკო, მალოფეევი, ხმელნიცკი.

ე. გორიანსკი („ზენიტი"): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ზიკოვი, ანდრიასიანი, დოლმატოვი, კოლოტოვი, იშტოიანი, ბიშოვეცი, შევჩენკო.

ი. ბეცა (ასკ, დონის როსტოვი): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ლოვჩევი, მუნტიანი, ზიკოვი, კოლოტოვი, ბიშოვეცი, ფედოტოვი, კოზინკევიჩი.

ა. კელერი („ფახთაქორი"): რუდაკოვი, ძოძუაშვილი, სოსნიხინი, ხურცილავა, ლოვჩევი, ანდრიასიანი, ფედოტოვი, კოლოტოვი, იშტოიანი, ბიშოვეცი, კოზინკევიჩი.

ნ. მოროზოვი („შახტიორი"): რუდაკოვი, ლოხოვი, შესტერნიოვი, სოსნიხინი, ზიკოვი, კისელიოვი, დოლმატოვი, კოლოტოვი, იშტოიანი, ბიშოვეცი, შევჩენკო.

ყველაზე მეტი ხმა მიიღეს ე. რუდაკოვმა და ვ. კოლოტოვმა — 18-18. მომდევნო ადგილებზე არიან მ. ხურცილავა (16) და რ. ძოძუაშვილი — 15.

კონკურსის შედეგად სსრ კავშირის ნაკრები ასე გამოიყურება: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ზიკოვი, კოლოტოვი, ანდრიასიანი, დოლმატოვი, იშტოიანი, ბიშოვეცი, შევჩენკო.

# ნაკლოვანებათა მხილებისა და გამოსწორების გზით

ათ თვეს მიმდინარეობდა საქართველოს 1971 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. მოასპარეზე გუნდები დაყოფილი იყვნენ სამ ჯგუფად (სულ გამოდიოდა 155-ზე მეტი კოლექტივი). შეჯიბრება, როგორც ხედავთ, მარათონული იყო, მან გამოავლინა ჩვენი ფეხბურთის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

რესპუბლიკის ჩემპიონის ტიტული და მასთან ერთად „ა" კლასის II ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა ლანჩხუთის „გურიამ" (მწვრთნელები შ. კაკაბაძე და ნ. ნარიაშვილი). არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს ამ გუნდის წლევანდელ მიღწევებზე: „გურიამ" შეინარჩუნა უწინდელი შემადგენლობა, კიდევ უფრო სტაბილურად, საიმედოდ შეათამაშა იგი და მიზანს მიაღწია ჯერ კიდევ ჩემპიონატის დამთავრებამდე. კოლექტივში არიან გამოცდილი მოთამაშეები შავდია, ძიძიგური, წილოსანი, სიხარულიძე, იმედაძე, აგრეთვე, ახალგაზრდობა — ვაწაძე, გუბელაძე, სამსონაძე და სხვ. მწვრთნელების უნარიანმა მუშაობამ, რაიონის ხელმძღვანელობის ხელშეწყობამ და დახმარებამ „გურიას" საშუალება მისცა ერთპიროვნული ლიდერი ყოფილიყო შეჯიბრების მსვლელობაში და წარმატებით დაეგვირგვინებინა თავისი გზა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გუნდი არც მომავალში გადაუხვევს აღებულ გეზს.

II ადგილი ხვდა სამტრედიის „ლოკომოტივს", რომელიც 1970 წელსაც კარგად გამოვიდა რესპუბლიკურ ჩემპიონატში და ამჯერად კიდევ უფრო უკეთეს შედეგს მიაღწია. მაღალ დონეზე ჩატარებულმა თამაშებმა ცხადყო, რომ რკინიგზელთა კოლექტივი გამსჭვალულია ერთსულოვნებით და აქვს საბრძოლო უნარი, რომ იფიქროს ახალ, უფრო სერიოზულ წარმატებებზე. სამტრედიელთა ამ მიღწევაში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელს შ. გიგილაშვილს, რომელსაც ქმედით დახმარებას უწევდნენ რაიონის ხელმძღვანელობა და „ლოკომოტივის" ადგილობრივი საბჭო.

რესპუბლიკური ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა — თბილისის „სინათლემ" (მწვრთნელი ვ. ირემაძე) კარგი სტარტი აიღო და თითქოს დაკარგულ ტრადიციებსაც იბრუნებდა, მაგრამ შემდგომში კოლექტივში იყო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, იგრძნობოდა არაჯანსაღი დამოკიდებულება ცალკეულ მოთამაშეთა შორის, რამაც საბოლოოდ იჩინა კიდეც თავი. იმედია, „სინათლის" ხელმძღვანელობა და მწვრთნელები სერიოზულ ანალიზს გაუკეთებენ შენიშნულ ხარვეზებს და წლევანდელ სეზონს კარგად მომზადებული შეხვდებიან.

აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის გუნდები, რომლებიც ადგილობრივი ფეხბურთელებით არიან დაკომპლექტებული და გზას აძლევენ ახალგაზრდებს. ასეთებია: გეგეჭკორის „სალხინო" (მწვრთნელი ბ. შალელაშვილი), ზუგდიდის „დინამო" (მწვრთნელი ჯ. ჩუხუა), ხაშურის „ივერია" (მწვრთნელი ჯ. ანთაძე). ცალკე უნდა აღვნიშნოთ თბილისის „ლოკომოტივის" (მწვრთნელები ვ. ელოშვილი და თ. კუჩლაშვილი) ახალგაზრდული კოლექტივის გამოსვლა რესპუბლიკურ ჩემპიონატში. გუნდს თავისი სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელობის მხრივ არ ჰქონდა შესაფერისი დახმარება და ხელშეწყობა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ლოკომოტიველებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მთელი რიგი მატჩები და საბოლოოდ XI ადგილი დაიკავეს. გუნდს აქვს კარგი საწვრთნელი ბაზა და სავარჯიშო ინვენტარი, მაგრამ მას მეტი ყურადღება სჭირდება და, იმედია, ამ კოლექტივიდან მივიღებთ საჭირო ცვლას ოსტატთა გუნდებისთვის.

შესამჩნევად დათმეს პოზიციები საქართველოს 1970 წლის ჩემპიონმა — ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა, ზესტაფონის „მეტალურგმა", თბილისის ასკ-მ.

სუსტად ჩაატარეს შეჯიბრება წულუკიძის „ფეიქარმა", წალენჯიხის „სქურმა", ჭიათურის „მაღაროელმა", სიღნაღის „ცისკარმა", ცხინვალის „განთიადმა", გურჯაანის „ალაზანმა" და ახმეტის „ვარძიამ". „ფეიქრის" გარდა, რომელიც ბურთების უკეთესმა სხვაობამ იხსნა, ჩამოთვლილი გუნდები წლეულს II ჯგუფში ითამაშებენ.

დაძაბულად მიმდინარეობდა შეჯიბრება II ჯგუფის ორივე ზონაში, რომელმაც გამოავლინა I ჯგუფის მონაწილენი — ხობის „კოლხეთი" (მწვრთნელი ა. ჭოჭუა) და ბორჯომის „ტანთიადი" (მწვრთნელი ე. გენდელმანი). ამ ზონებში ბოლო ადგილები დაიკავეს ახალქალაქის „აბულმა" და ქედის „კოლმეურნემ", რომლებიც წლეულს ზონალურ გათამაშებაში გადაინაცვლებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ჩემპიონატმა გამოავლინა ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებმაც კარგი თამაშით გამოიჩინეს თავი და ამიტომ რესპუბლიკის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებში ჩაირიცხნენ. ასეთები არიან: ცხაკაიელი თ. ესებუა (გადავიდა ბათუმის „დინამოში"), წალენჯიხელი ნ. ფიფია (სოხუმის „დინამოში"), ხობელი ა. ჭედია (ფოთის „კოლხეთში"), ლაითურელი ვ. გოგოჭრიშვილი (მახარაძის „მერცხალში"), ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები დ. ოდიშარია, თ. ხვედელიძე (შესაბამისად — ფოთის „კოლხეთსა" და რუსთავის „მეტალურგში").

ზემოჩამოთვლილთა გარდა არიან ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეები, რომლებსაც კარგი მომავალი ელით. შესაბამისი მზადებისა და წვრთნის შედეგად მათაც შეეძლებათ დაიკავონ ადგილი ოსტატთა გუნდებში. ასეთებს შორის ჩამოვთვლით: გაბელაიას (ზუგდიდის „დინამო"), ტეტელაშვილს, ჯინჭარაძეს, დემეტრაშვილს, ადუაშვილს, ქერდიკაშვილს, სართანიას, კაველიძეს (თბილისის „ლოკომოტივი"), ოსაძეს (ხაშურის „ივერია"), ჭიჭინაძეს (ზესტაფონის „მეტალურგი"), ტატაევს, ჯაშს (გარდაბნის „ვარკეთილი"), ტყებუჩავას (თბილისის „სინათლე"), ხანიშვილს, ჩოჩიშვილს (გორის რაიონის „ქართლი"), ცხოვრებოვს, რომელაშვილს, თედეევს (ცხინვალის „განთიადი"), ოდიშარიას, დანელიას, დარჯანიას (გეგეჭკორის „სალხინო"), რომ. ცირეკიძეს (თელავის „კახეთი"), ციკოლიას (წალენჯიხის „სქური"), ხარაზაძეს (ვანის „სულორი"), ნაჭყებიას, ანდრიაძეს (ფიზკულტურის ინსტიტუტი), გაჩეჩილაძეს (აწყურის „სამცხე"), იმნაძეს (ლანჩხუთის „გურია")...

1970 წლის გათამაშებასთან შედარებით დისციპლინის დარღვევის შემთხვევებმა შესამჩნევად იკლო, მაგრამ უწესრიგობა მაინც ხდება ჩვენს სტადიონებზე და ამდენად უფლება არა გვაქვს გვერდი ავუაროთ მათ.

მოგვყავს გუნდებში დისციპლინის დარღვევათა ცხრილი, რომელიც მკითხველს ნათელ სურათს შეუქმნის, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შორის.

| გუნდები | გაფრთხ. | გაძევ. | ადგ. |
|---|---|---|---|
| „ლოკ." (თბილისი) | 2 | 0 | 1 |
| „გურია" | 6 | 0 | 2 |
| „სალხინო" | 7 | 0 | 3 |
| „ივერია" | 6 | 1 | 4—5 |
| „ვარძია" | 6 | 1 | 4—5 |
| „ეგრისი" | 4 | 2 | 6 |
| „დინამო" | 6 | 2 | 7 |
| „ისანი" | 7 | 2 | 8—9 |
| ასკ (თბილისი) | 7 | 2 | 8—9 |
| „ალაზანი" | 7 | 3 | 10—11 |
| „მეტალურგი" | 7 | 3 | 10—11 |
| „სინათლე" | 6 | 4 | 12 |
| „სქური" | 5 | 5 | 13 |
| „სამცხე" | 10 | 1 | 14 |
| „მაღაროელი" | 9 | 2 | 15 |
| „ლოკ." (სამტრედია) | 8 | 3 | 16 |
| „ფეიქარი" | 7 | 4 | 17 |
| „სულორი" | 6 | 5 | 18 |
| „ქართლი" | 11 | 1 | 19 |
| „გიგანტი" | 10 | 2 | 20 |
| ფიზკ. ინსტიტუტი | 9 | 4 | 21 |
| „განთიადი" | 7 | 7 | 22 |
| „ვარკეთილი" | 11 | 4 | 23 |
| „კახეთი" | 9 | 6 | 24 |
| „შუქურა" | 14 | 4 | 25 |
| „ცისკარი" | 11 | 7 | 26 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე დისციპლინიანი კოლექტივები არიან თბილისის „ლოკომოტივი", ლანჩხუთის „გურია" და გეგეჭკორის „სალხინო", მაგრამ, მათგან განსხვავებით, პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დონე ძალიან დაბალია სიღნაღის „ცისკარში", ქობულეთის „შუქურაში", თელავის „კახეთში", გარდაბნის „ვარკეთილში" და ბევრ სხვა გუნდში. სპორტსმენის კი არა, საერთოდ საბჭოთა მოქალაქისთვის შეუფერებელი საქციელისთვის ფეხბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ თამაში საერთოდ აუკრძალა თელაველ ფეხბურთელებს როლ. ციოეკიძეს, რ. სამნიაშვილს, თ. იოსებაშვილს, ქობულეთელ თ. სოლომონიძეს, წალენჯიხელ ნ. ბერულავას. თბილისის „ისნის" ფეხბურთელთა კოლექტივს გადაწყვეტილებით ერთი წლით აეკრძალა თამაში გუნდის წევრს შ. ჭიჭინაძეს, 3 წლით მიეცათ დისკვალიფიკაცია ზესტაფონელ ფეხბურთელებს ქ. ცინცაძეს, ე. კვინიკაძეს, მ. გეგეშიძეს და, ამას გარდა, სამუშაოდან განთავისუფლებულია გუნდის მწვრთნელი გ. კერძევაძე.

სხვადასხვა სახის სასჯელი მიეცათ: გ. ყარალაშვილს, თ. თაყნიაშვილს (სიღნაღის „ცისკარი"), მ. ქუთათელაძეს (თბილისის ასკ), დ. მარგველაშვილს (სამტრედიის „ლოკომოტივი"), მ. ქვათელაძეს (წულუკიძის „ფეიქარი"), გ. მამალაძეს (თბილისის „შევარდენი"), თ. მშვიდობაძეს (ქედის „კოლმეურნე"), რ. შეროზიას (ფოთის „კომეტა"), ვ. მიქაძეს (წალკის „მშენებელი"), თ. აფციაურს (თეთრი წყაროს „გარისი"), თ. ქობულაძეს (ჩხოროწყუს „კოლმეურნე").

ცალკეულ შემთხვევებში წესრიგს არღვევდნენ მაყურებლებიც. ამიტომ დისკვალიფიკაცია მიეცათ ხაშურის, ლაითურისა და თეთრი წყაროს სტადიონებს.

დისციპლინის დარღვევაზე ყოველ წელს გვიხდება ლაპარაკი, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ იქნა და ვერ მივაღწიეთ. რა უნდა ვთქვათ ფეხბურთელებზე, ახალგაზრდა სპორტსმენებზე, როცა მათ ყოვლად უმსგავს მაგალითს აჩვენებენ ხელმძღვანელი მუშაკები, სწორედ ისინი, ვინც მოწოდებულია სათავეში ჩაუდგეს პოლიტაღმზრდელობით მუშაობას ფეხბურთელთა კოლექტივებში. თეთრი წყაროს რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ თ. ხუციშვილმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ბოლნისის გუნდის მოთამაშეს გ. ჯაფარიძეს, რის გამოც კალენდარული მატჩი ჩაიშალა. თ. ხუციშვილს დიდად არ ჩამორჩენია ქობულეთის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ი. მჟავანაძე, რომელიც მატჩის მსვლელობის დროს ხმამაღალი შეძახილებით აქეზებდა მაყურებელთა ერთ ჯგუფს და ამხედრებდა მსაჯთა საწინააღმდეგოდ. იგივე შეიძლება ითქვას წალენჯიხისა და წულუკიძის კომიტეტების თავმჯდომარეების გ. მებონიას და ა. ყუფარაძის მიმართ. მაგალითის აღება საჭიროა კომიტეტების ისეთი თავმჯდომარეებისგან, როგორიც არიან გ. წილოსანი (ლანჩხუთი), ო. კალაძე (სამტრედია), გ. ლოგუა (ზუგდიდი), ე. კოშკაძე (გორის რაიონი) და სხვანი, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ საქართველოს პირველობის კალენდარული მატჩის ჩატარების დღე რაიონის მშრომელთათვის ჯანსაღი დასვენების დღედ აქციონ და სპორტული სანახაობისთვის საუკეთესო პირობები შექმნან.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ზოგჯერ თამაშების ჩაშლის მიზეზია სათამაშო მინდვრების მოუმზადებლობა და ექიმის გამოუცხადებლობა სტადიონზე. მაგალითად, 22 აგვისტოს თბილისის „ლოკომოტივის" ბაზა არ იყო მზად მატჩის ჩასატარებლად. 14 მარტს ცხინვალში ექიმი 30 წუთის დაგვიანებით გამოცხადდა, ხოლო რუსთავში, თბილისის „შევარდენის" სტადიონზე, ყვარელსა და გურჯაანში ექიმები სრულიადაც არ გამოცხადებულან და ამის გამო მატჩები ჩაიშალა.

ხშირია შემთხვევები, როცა ხულიგნურად იქცევიან არა ცალკეული მოთამაშეები, არამედ მთლიანად გუნდები. სიღნაღის „ცისკარი" ჭიათურის „მაღაროელს" მასპინძლობდა და მთელი მატჩის მსვლელობაში უდიერად ექცეოდა მსაჯსა და მეტოქე გუნდს. 10 ოქტომბერს ზესტაფონის „მეტალურგმა" თვითნებურად დატოვა ნინდორი. ასევე მოიქცნენ 4 სექტემბერს წითელ წყაროში სტუმრად მყოფი თეთრიწყაროელი ფეხბურთელები.

ყოველგვარ ნორმას გადააჭარბა ვაზისუბანსა და წალენჯიხაში მომხდარმა ამბებმა. 5 ივლისს ვაზისუბანში უნდა მიეღოთ ახალქალაქის ფეხბურთელები, მაგრამ ამ უკანასკნელებმა მასპინძლებს შესთავაზეს ფიქციურად გაეფორმებინათ მატჩის ტექნიკური ოქმი. „მეტოქეები" ასეც მოიქცნენ და ყალბი ოქმი წარადგინეს ფედერაციაში, რისთვისაც ორივე გუნდი დაისაჯა.

24 ოქტომბერს ასეთივე ამბავი განეორდა წალენჯიხაში იქაურ და წულუკიძის გუნდებს შორის მსაჯის ა. ხარატიშვილის უშუალო მონაწილეობით.

იყო შემთხვევები, როცა მონაწილე გუნდების ხელმძღვანელებმა მატჩებზე გამოიყვანეს განუცხადებელი მოთამაშეები (გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ქუთაისის, ჩხოროწყუს გუნდები).

ჯერ კიდევ ვხვდებით მატჩებზე გამოუცხადებლობის შემთხვევებს. ახალქალაქის გუნდი, მაგალითად, არ გამოცხადდა ყვარელში. ასეთივე შემთხვევები იყო დუშეთის, ლაგოდეხის, ახმეტის, წითელი წყაროსა და სხვა გუნდებში. ამიერიდან მატჩებზე გამოუცხადებლობას საგანგებო ყურადღება მიექცევა და დამნაშავენი სათანადოდ დაისჯებიან.

სეზონის დასაწყისში ფედერაციამ შეამოწმა გათამაშებაში მონაწილე ქალაქებისა და რაიონების სტადიონები. ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო გეგეჭკორსა და სიღნაღში, მაგრამ ამ რაიონების ხელმძღვანელობამ შეძლო არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება. მათგან განსხვავებით სერიოზული ხარვეზები არ გამოასწორეს ხაშურის, გალის, საჩხერის, თერჯოლისა და სხვა რაიონების სტადიონებზე. 1972 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე 1 თვით ადრე სპეციალურად გამოყოფილი კომისიები შეამოწმებენ ბაზების მზადყოფნას და, თუ იქ ყველაფერი წესრიგში არ იქნა, გუნდები სათამაშოდ არ დაიშვებიან.

II ჯგუფში გამოდიოდა რუსთავის „სპარტაკის" ახალგაზრდული გუნდი, მაგრამ, ვინაიდან რუსთავში მის მიმართ არ გამოიჩინეს სათანადო ყურადღება, კოლექტივი დაიშალა. ეს მაშინ, როცა ამ ქალაქს „ა" კლასის II ლიგაში საუკეთესო კოლექტივი ჰყავს და სწორედ ახალგაზრდული გუნდი ესაჭიროება რეზერვების აღსაზრდელად.

გასული წლებისგან განსხვავებით I ჯგუფის გუნდების მატჩებს მომსახურებას უწევდნენ მსაჯთა ბრიგადები და ამ მეთოდმა კარგი შედეგი გამოიღო. უნდა აღინიშნოს ა. ვარდიაშვილის, თ. კალანდაძის, ვ. მიმინოშვილის, ჟ. ძნელაძის, გ. გვანცელაძის, ვ. ეჯიბიას, მ. დუბროვინის, თ. ფანიაშვილის, ვ. გავრილოვის, ვ. შილაკაძის, ი. კანდელაკის (თბილისი), ა. აფრიდონიძის, დ. აბუთიძის (ქუთაისი), მ. ნადიროვის (რუსთავი), ლ. ჯოხაძის (ხაშური), გ. პოღოსიანის (სოხუმი), ვ. ჩიბურდანიძის (ბათუმი), გ. სართანიას, ჯ. გოგიას (ზუგდიდი), მ. სიჭინავას (გუდაუთა), ზ. კოღუაშვილის (გაგრა) და სხვათა კვალიფიციური მსაჯობა. მაგრამ არც ამ მხრივ გვაქვს ყველაფერი რიგზე. მაგალითად, 10 აპრილს წითელ წყაროში სამსაჯოდ ჩასვლა დააგვიანა ი. ყაზარაშვილმა და არბიტრობა ადგილობრივ მსაჯს მოუწია. მიუხედავად ამისა, ყაზარაშვილმა ოქმი თავის გვარზე გააფორმა და ასე წარადგინა ფედერაციაში. რა თქმა უნდა, იგი ჩოხსნილია მსაჯობიდან.

რესპუბლიკურ ფედერაციას 1972 წლისთვის განზრახული აქვს გარკვეული ცვლილებები შეიტანოს გათამაშების დებულებაში, საგანგებო ყურადღება მიაქციოს სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას გუნდებში. ბევრი მწვრთნელის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოთხოვნილების დონეს. ამას გარდა, ყოვლად დაუშვებელია, რომ ადგილებზე თვითნებურად, სურვილისამებრ ნიშნავენ და ათავისუფლებენ თავიანთი გუნდების მწვრთნელებს, არ უთანხმდებიან ამის თაობაზე ფეხბურთის სამმართველოს და რესპუბლიკურ ფედერაციას.

ყოვლად შეუწყნარებელია ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ ეძნელდება სათანადო სპორტული ფორმითა და ბურთებით გუნდების მომარაგება.

მხოლოდ დირექტივებითა და დადგენილებებით საქართველოში ფეხბურთის ნამდვილი წინსვლის საქმე ვერ მოგვარდება. ამ უაღრესად საჭირო და საპატიო საკითხის გადაწყვეტა უპირველეს ყოვლისა ევალებათ თვით შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, ქალაქებისა და რაიონების სპორტულ ხელმძღვანელ ორგანოებს, მსაჯებს. ისეთი დარღვევები, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მომავალში არ უნდა მოხდეს. მომავალი საფეხბურთო სეზონი რესპუბლიკური გათამაშების მონაწილეებმა სანიმუშოდ უნდა ჩაატარონ.

გ. ბაქანიძე,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიადაში გამოსვლა მათი მიზანია

SAPPORO'72

1972 წელი ოლიმპიური წელია და, ცხადია, მთელი საბჭოთა სპორტის ყურადღება ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისადმია მიპყრობილი. საქართველო — მოძმე რესპუბლიკების ძმური ოჯახის ერთ-ერთი სრულუფლებიანი წევრი — მუდამ აქტიურად მონაწილეობდა ოლიმპიურ ცხოვრებაში. იგი წლეულსაც ოლიმპიური სამზადისის ცენტრშია და ცდილობს თავისი სახელოვანი სპორტსმენებით გარკვეული წვლილი შეიტანოს ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში.

დღეს ჩვენ მკითხველებს გავაცნობთ ქართული სპორტის ავანგარდს, მის წინწინავე რაზმს, რომელიც აქედანვეა ჩაბმული ოლიმპიურ სამზადისში. ისინი ყველანი სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდების კანდიდატები არიან, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ამ სიას არაფერი დაემატება ან არ დააკლდება. ნაკრები გუნდების წევრთა შერჩევა ძალიან მძიმე და შრომატევადი საქმეა, სადაც მხედველობაში მიიღება ამა თუ იმ სპორტსმენის მზადყოფნის ხარისხი ზუსტად ოლიმპიადის წინა პერიოდში. ამიტომაც კანდიდატთა სიას შესაძლოა ბევრი ახალი გვარი დაემატოს.

აი, ვინ ითვლება დღეისთვის ნაკრების კანდიდატად:

კალათბურთი. ზ. საკანდელიძე („დინამო", 1945 წელს დაბადებული), მ. ქორქია („დინამო", 1948 წ.), გ. ბიჭიაშვილი („ბურევესტნიკი", 1947 წ.), ლ. ჩხიკვაძე („ბურევესტნიკი", 1948 წ.).

თავისუფალი ჭიდაობა. ტ. ალიბეგაშვილი („დინამო", 1945 წ.), გ. ყვარელაშვილი („ლოკომოტივი", 1945 წ.), ნ. ხოხაშვილი („კოლმეურნე", 1940 წ.), ზ. ბერიაშვილი („სპარტაკი", 1937 წ.), ლ. თედიაშვილი („განთიადი", 1948 წ.), შ. ლომიძე („დინამო", 1936 წ.), ნ. მოდებაძე („ბურევესტნიკი", 1950 წ.), რ. მარსაგიშვილი („ბურევესტნიკი", 1949 წ.).

კლასიკური ჭიდაობა. ჯ. მეგრელიშვილი („დინამო", 1950 წ.), რ. რურუა („კოლმეურნე", 1942 წ.), თ. მაჭავარიანი („განთიადი", 1945 წ.), ო. ბლიაძე („ბურევესტნიკი", 1942 წ.).

ძიუდო. შ. ფიცხელაური (ასკ, 1948 წ.), ა. მარტყოფლიშვილი („დინამო", 1937 წ.), გ. გოგოლაური (ასკ, 1944 წ.), შ. ჩოჩიშვილი („ბურევესტნიკი", 1950 წ.), გ. ონაშვილი („კოლმეურნე", 1947 წ.), რ. ხარშილაძე (ასკ, 1951 წ.), ნ. ექვთიმიშვილი („ბურევესტნიკი", 1951 წ.), გ. თანდილოვი („ბურევესტნიკი", 1948 წ.).

ველოსპორტი. ო. ფხაკაძე („დინამო", 1944 წ.).

ტანვარჯიში. ნ. დრონოვა („განთიადი", 1958 წ.), რ. სიხარულიძე („დინამო", 1954 წ.), მ. ბოჯუსი („დინამო", 1941 წ.).

ნიჩბოსნობა და კანოე. ა. მატკავა (ასკ, 1939 წ.), ვ. კრატასიუკი (ასკ, 1949 წ.), ზ. ხოფერია („ვოდნიკი", 1952 წ.), ნ. ჩარაევი („ვოდნიკი", 1951 წ.).

საბაიდარო სლალომი. გ. ნასყიდაშვილი („ლოკომოტივი", 1947 წ.), ო. მარეხაშვილი („ლოკომოტივი", 1943 წ.), ი. ამეტოვი („ლოკომოტივი", 1949 წ.), ს. არეშოვი („კოლმეურნე", 1949 წ.), ა. დემიანენკო („ლოკომოტივი", 1954 წ.), ნ. ლუცენკო („ვოდნიკი", 1950 წ.), ვ. როსტიაშვილი („ლოკომოტივი", 1946 წ.).

მძლეოსნობა. ვ. სანეევი („დინამო", 1945 წ.), ა. მოშიაშვილი („დინამო", 1950 წ.), ი. დელა-როსა („განთიადი", 1938 წ.), გ. გუდაშვილი („დინამო", 1942 წ.), ი. ფხაკაძე („დინამო", 1951 წ.).

ცურვა. თ. ლეკვეიშვილი („დინამო", 1954 წ.), ვ. კრასკო („დინამო", 1953 წ.), ი. ლისეცკი („დინამო", 1953 წ.).

თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა. კ. წაქაძე (ასკ, 1934 წ.).

სასტენდო სროლა. ტ. ჟღენტი („ლოკომოტივი", 1945 წ.), თ. მატიანი („განთიადი", 1949 წ.).

მშვილდოსნობა. ლ. ასატუროვა („ბურევესტნიკი", 1947 წ.), ქ. ლოსაბერიძე („ბურევესტნიკი", 1949 წ.).

ძალოსნობა. დ. შანიძე („განთიადი", 1937 წ.).

ფეხბურთი. მ. მაჩაიძე („დინამო", 1949 წ.).

აკადემიური ნიჩბოსნობა. ს. ბარიშევი („ბურევესტნიკი", 1952 წ.), გ. ნიკურაძე („ბურევესტნიკი", 1949 წ.), ო. ქაფიანიძე („ბურევესტნიკი", 1951 წ.), ნ. ფილიევი („ბურევესტნიკი", 1952 წ.), ბ. ხურციძე („ბურევესტნიკი", 1947 წ.), ჯ. გოგლიჩიძე („ბურევესტნიკი", 1949 წ.), ა. კაპანაძე („ბურევესტნიკი", 1949 წ.), თ. ბერაია („განთიადი", 1945 წ.), თ. ბერიძე („ბურევესტნიკი", 1952 წ.).

ტყვიის სროლა. გ. თავდიდიშვილი („დინამო", 1948 წ.), მ. პაპავა („დინამო", 1942 წ.).

წყალბურთი. ვ. ისელიძე („დინამო", 1948 წ.).

München-72

# ნ. თუხარელი და თ. კაკულია — საუკეთესონი

## თბილისის ჩოგბურთელთა ზამთრის პირველობა

თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს ჩოგბურთის სტადიონზე დამთავრდა ქალაქის ტრადიციული ზამთრის პირველობა. ასპარეზობაში მონაწილეობდა 32 ვაჟი და 16 ქალი.

ქალებში გათამაშება ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. ორ-ორი გამარჯვების შემდეგ ნახევარფინალში გავიდნენ ნ. თუხარელი, ლ. მგალობლიშვილი, ტ. ფარსადანოვა, ო. პაპაიანი. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა ნ. თუხარელმა, რომელმაც II ადგილზე გასულ ო. პაპაიანს მოუგო — 6:4, 3:6, 6:1.

ვაჟებში ნახევარფინალამდე გათამაშება ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა. პ. მეტრეველმა მოუგო საქართველოს 1971 წლის ჩემპიონს ლ. მძინარიშვილს, მაგრამ ნახევარფინალიდან, რომელიც წრიული სისტემით ჩატარდა, იგი ავადმყოფობის გამო ბრძოლას გამოეთიშა. I ადგილი დაიკავა თ. კაკულიამ, რომელმაც შედარებით იოლად დაამარცხა მეტოქენი. II ადგილზეა პ. იბაშკინი.

ლ. მგალობლიშვილი,
სპორტის ოსტატი.

# ამაგი დაუფასდა

## მ. საყვარელიძის დაბადების 80 წლისთავის გამო

პროფესორმა შ. ბებიაშვილმა გვიამბო:

— მაშინ ჭადრაკი მაინცდამაინც გავრცელებული არ იყო. ამას თუნდაც ის ადასტურებს, რომ მიხეილის სახელმძღვანელო „ჭადრაკი" გამოცემიდან სამი წლის შემდეგაც იყიდებოდა მაღაზიებში, თუმცა წიგნის ტირაჟი მხოლოდ ორი ათასი ცალი იყო.

დიახ, ასე ნაკლებად პოპულარული გახლდათ ჭადრაკი საქართველოში 1926 წელს, როცა ბრძნული თამაშის დიდმა მოტრფიალემ, ჟურნალისტმა მიხეილ საყვარელიძემ თავისი სახელმძღვანელო გამოსცა. მას კარგად ესმოდა ჭადრაკის ჯავარი და გულით სურდა განახლებულ სამშობლოშიც მეფეთა თამაშს უთვალავი მრევლი ჰყოლოდა, მით უმეტეს, რომ ქართველი ერის ყოფა-ცხოვრების მდიდარ საუნჯეს ჭადრაკიც ასპეტაკებდა.

სახელმძღვანელოს შექმნა იოლი როდი იყო, გულმხურვალე მამულიშვილი პროფესიული მოჭადრაკე არ გახლდათ. ამიტომ იგი რჩევა-დარიგებას მადლობით ღებულობდა იმდროინდელი მოწინავე ქართველი მოღვაწეებისგან. გადაუხადა კიდეც ყველას მადლობა — იგი ისეთი მოკრძალებული ადამიანი იყო, რომ წიგნს მხოლოდ თავისი ინიციალები დააწერა.

— მე რა მოჭადრაკე ვარ. მერე რა, სახელმძღვანელო რომ დავწერე. ბოლოს და ბოლოს, მთავარი ხელმოწერა როდია: ჩემი ოცნებაა ყველა ქართველი თამაშობდეს ჭადრაკს. იქნებ მაშინ ჩვენშიც გამოჩნდნენ ოსტატები, — უთქვამს მიხეილს მწერალ შ. აფხაიძისთვის.

რაღა თქმა უნდა, სახელმძღვანელომ დიდი სამსახური გაუწია ჩვენს ერს. მან ბევრს შეაყვარა ჭადრაკი, შეაჩვია თავისებურ, ორიგინალურ აზროვნებას, გააცნო თამაშის არსი, მისი თეორიის ელემენტები, მისი კორიფეები, წარსული.

მიხეილ საყვარელიძის სახელმძღვანელო ქართულად დაწერილი პირველი წიგნია ჭადრაკზე. მას წინამორბედი არა ჰყავს, განმგრძობი კი ბევრი გაუჩნდა. ახლა საჭადრაკო წიგნი მაღაზიის თაროზე თითქმის არ რჩება, იმდენი მომთხოვნი და მკითხველი ჰყავს. სწორედ ამ დროზე ოცნებობდა მიხეილ საყვარელიძე, მაგრამ იგი, ალბათ, ვერასოდეს იფიქრებდა, რომ მისი მამული ქვეყანას ჭადრაკის დედოფალს გაუზრდიდა.

მიხეილ საყვარელიძემ დაუღალავ შრომაში გაატარა თავისი ცხოვრება. ქართული ჭადრაკის მატიანეს მუდამ დაამშვენებს მისი ნაამაგარი.

თ. გიორგაძე.

# საახალწლო ხუმრობა

ამ ამოცანის შემდგენელს საახალწლო შეხვედრაზე აგვიანდებოდა და დიაგრამა ასეთი სახით დაგვიტოვა — დაავიწყდა შავი ფიგურების გამოყოფა.

ძვირფასო მკითხველო! თუ თქვენ სწორად გამოიცნობთ შავ ფიგურებს, მაშინ შავ მეფეს ადვილად დაამამათებთ. ამოხსნა სწორი იქნება, თუ შამათი პაიკების საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობის დროსაც გამოვა.

რ. თავარიანი (თბილისი)



შამათი ორ სვლაში

# კი, ასეთია ნელი სალაძე

უსასრულოა ზღვა, უსასრულოა ცა, მაგრამ ადამიანისთვის, პოეტისთვის, ეს სასწაული ძალიან ბევრს წააგებდა პაწაწინა თეთრაფრიანი ეული ნავის გარეშე. უსასრულოა პურის ყანა, ოქროს თავთავებით მკერდდამშვენებული, მაგრამ ხომ გაგიგონიათ — „ყაყაჩოსა სიწითლითა"...

ნელი სალაძეს უყვარს ასეთი პოეტური სურათები და ხშირად აცოცხლებს მათ თავის ლექსებში, რომლებსაც ახლობლების გარდა არავის უკითხავს. დიდი ხანია ვაკვირდები მხატვრული ტანვარჯიშის ცნობილ ოსტატს და რატომღაც მენიშნა, როცა მის ზოგიერთ პოეტურ ცდას გავეცანი: ისიც უსასრულო ზღვაში მოფარფატე ნავივით ჩანდა ქართული ტანვარჯიშის ჰორიზონტზე და ერთი ხანობა ჩვენი მხატვრული ტანვარჯიში წარმოუდგენელი იყო ნელის გარეშე.

სპორტს სალაძე შემთხვევით არ დაკავშირებია. ყოველი სპორტსმენი საკუთარი, გაუკვალავი გზით პოულობს თავის ნამდვილ მოწოდებას. ჭეშმარიტად ამოუწურავია სპორტული სამყარო თავისი მომხიბვლელი თვისებებით: ვაჟკაცობით, გამბედაობით, სილამაზით, სინაზით... ყოველი ადამიანი, ვინც მას ეზიარება, მუდამ პოულობს სანუკვარი ოცნების წყაროს. ულევი და მადლიანია იგი.

— სპორტთან დამაკავშირა მუსიკის სიყვარულმა. ჩემს წარმოდგენაში წარმტაცი სპორტული მოძრაობა მუსიკალურ ბგერებთან უნდა ყოფილიყო შესისხლხორცებული. ვაჟთა ასპარეზობა თითქოს მუსიკალურ აკომპანემენტს არ საჭიროებს — მათი მიმოხვრა, თუ კი ბგერების სახით წარმოვიდგენთ, უფრო ლითონის ჟღერადობას გამოსცემს. ასეც უნდა იყოს: ვაჟების სპორტი ვაჟკაცურ ბუნებას უნდა გულისხმობდეს.

მუსიკაც ცასავით უსასრულოა და ამიტომაც უსაზღვროა მის მიერ მონიჭებული სიამოვნება და მადლი. დაუკვირდით, როგორ ღიღინებს ზვარში მოფუსფუსე მევენახე, მეზღვაური, რომელიც შუა ზღვაშია გასული, ადამიანი, რომელიც თავისთვის მიუყვება ქუჩას. ამიტომ თავიდანვე ვეძებდი სპორტის ისეთ სახეობას, სადაც მოძრაობა და მუსიკა ერთმანეთს შეავსებდნენ, უერთმანეთოდ ვერ გაძლებდნენ. ეს იყო მხატვრული ტანვარჯიში, რომელსაც, სადაც წესი და რიგია, ალბათ მუსიკალური ტანვარჯიში უფრო უნდა ერქვას. ეს ისეთი ლამაზი სპორტია, ისეთი...



ბავშვობაში მას ძალზე ჰყვარებია ასკინკილა. ნიავივით დაჰქროდა ცარცით დახაზულ თეთრ კვადრატებში, ვერავინ სჯობდა ამ თამაშში. შემდეგ მის ბავშვურ ცნობიერებაში შეიჭრა შოპენი, რახმანინოვი, ულანოვა, პლისეცკაია. გოგონას სამყარო მდიდრდებოდა ხალხური მუსიკალური და საბალეტო ნიმუშებით. ეს საუნჯე მასში გროვდებოდა იმ დრომდე ხანს, ვიდრე გოგონამ ერთ მშვენიერ დღეს თბილისის საბალეტო სტუდიას არ მიაკითხა. მისთვის ახალი ცხოვრება დაიწყო. ამიერიდან სალაძე მტკიცედ დაუკავშირდა საყვარელ საქმეს.

— არაფერია იმაზე უკეთესი, როცა ბედნიერად აგიხდება ბავშვობის ოცნება. ორმაგად გასახარია, როცა გზის გაკვლევაში მხარში ამოგიდგება ისეთი სანიმუშო პედაგოგი, როგორიც თამარ ვიხოდცევაა. ეს იყო ჩუმი, უპრეტენზიო, მაგრამ თავისი საქმისა და მოწაფეების უსაზღვროდ მოყვარული ადამიანი. იგი ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ პირადი მაგალითით გაცილებით მეტს გვეუბნებოდა. უყვარდა ფოთოლცვენა: ხედავთ, გოგონებო, როგორ ნება-ნება მოფარფატებენ ფოთლები ხიდან? ოჰ, რა ლამაზია! — ამბობდა ფანჯარასთან მიმდგარი. მას პოეტური სული ჰქონდა.

ნელი სალაძე ბალერინად დარჩა მაშინაც კი, როცა მხატვრული ტანვარჯიშის აღიარებული ოსტატი გახლდათ. ოღონდაც მისი თანდაყოლილი საბალეტო ნიჭი საგრძნობლად გამრავალფეროვნდა სპორტული ელემენტებით. რაც შეეხება მუსიკას, იგი თავისებურ ხიდად იქცა ბალეტსა და სპორტს შორის.

დიახ, სალაძე ბოლომდე ბალერინად დარჩა. ეს შეჯიბრება მით უფრო საცნაურია, რომ იგი სპორტში პირველ ყოვლისა ეძებდა არა იმდენად გამარჯვებისთვის საჭირო ქულებს, რამდენადაც სილამაზესა და გრაციას. უბრალოდ, სპორტს მისთვის მოჰქონდა ენით აუწერელი სიამოვნება და სიხარული და მაყურებელიც მშვენივრად გრძნობდა დიდი სპორტით გამოწვეულ ამ სიხარულს. იგი ხდებოდა გოგონას მოკავშირე, თანაუგრძნობდა, როცა უნებურად წაიფორხილებდა, აღტაცებული იყო, როცა ყველაფერი ლამაზად გამოუდიოდა. არის ასეთი კავშირი, მას დამსახურება უნდა...

ის იყო ჩემპიონი, ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური ჩემპიონი, რომელიც მე მინახავს. ის მიდიოდა გამარჯვებისკენ ღიმილით, ლაღად, ძალდაუტანებლად, რაღაც თავისებური, მხოლოდ მისთვის ცნობილი გზით. ამ გზას ოსტატობისა და სილამაზის გზა შეიძლება ვუწოდოთ.

ცხოვრება კი თავისი გზით მიდიოდა. ეს გზა მხოლოდ სპორტული ჯილდოებით როდი იყო მოფენილი. იგი გულდაგულ ეუფლებოდა ბიოლოგიას, წერდა და თარგმნიდა ლექსებს, სწავლობდა შექსპირის ენას. და სწორედ აქ გამოჩნდა, რა სწორად აირჩია მხატვრული ტანვარჯიში თავის უპირველეს გატაცებად. სპორტი მხოლოდ ეხმარებოდა ცხოვრებაში ახალ-ახალი ზღუდეების აღებაში. რამდენი წელი გასულა მას შემდეგ, რაც იგი პირველად მივიდა სპორტულ დარბაზში! რამდენჯერ გამოჩნდა ნელი სალაძის სახელი გაზეთებში, ჟურნალებში, კინოეკრანზე... რამდენი სიხარული მოუტანა თავისი ხალასი ნიჭის თაყვანისმცემლებს.

ეს წიგნი დაიხურა, ლამაზი სპორტული ცხოვრების მატიანე. სამაგიეროდ, გადაიშალა არანაკლებ მიმზიდველი ახალი წიგნი და მასში უკვე გაჩნდა პირველი საგულისხმო ფურცლები. ნელი სალაძეს ახლა უკვე ნელი მასწავლებელს ეძახიან. ყოველდღიურად უნივერსიტეტის ტანვარჯიშის დარბაზში მისკენ ათობით ნორჩი სპორტსმენის მზერაა მიპყრობილი. ცნობილი ოსტატისგან მხატვრული ტანვარჯიშის ჯეჯილი ელის რჩევა-დარიგებას, იმ დიდი ხელოვნების გაზიარებას, რომელიც ასე ულევად აქვს მათს მასწავლებელს. „ნელი მასწავლებელო", — წამდაუწუმ გაისმის აქეთ-იქიდან. მართლაც, რა დიდი დრო გასულა ახალგაზრდა მწვრთნელის პირველი სპორტული დებიუტის შემდეგ...

— ვერ წარმომიდგენია ცხოვრება მუსიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის გარეშე, ჩემი პატარა მოწაფეების გარეშე. ყველაფერი მინდა გადავცე მათ, რაც ვიცი. ისინი ჯერ სრულიად ნორჩები არიან და მათი სული თოვლივით თეთრი ქაღალდის ფურცელსა ჰგავს, რომელზეც ნათლად აღიბეჭდება თვით ყველაზე უმნიშვნელო ამბავიც კი. წიგნს წავიკითხავ — მინდა იმათაც ვუამბო, ახალ მუსიკას მოვისმენ — ესეც იმათთვისაა. მინდა იცოდნენ ინგლისური ენაც, უყვარდეთ ბუნება, ხელოვნება, და, რა თქმა უნდა, მხატვრული ტანვარჯიში. დაე, მათი ცხოვრება, მომავლის გზა ყოფილიყოს ისევე ლამაზი და საგულისხმო, როგორც ყველასთვის სანუკვარია ახალი წლის ბედნიერი დღე.

ა. გოგელია.

# 1972 წლის სპორტული წიგნის თარო

სპორტულ ლიტერატურას მუდამ ბევრი მკითხველი ჰყავს. ამიტომ საქართველოს გამომცემლობები დიდ ყურადღებას აქცევენ სპორტულ თემატიკაზე დაწერილი წიგნების გამოცემის საქმეს.

ახალი, 1972 წლის წინ „ლელოს" კორესპონდენტი ეწვია „საბჭოთა საქართველოს", „ნაკადულისა" და „განათლების" პასუხისმგებელ მუშაკებს და სთხოვა მათ რამდენიმე სიტყვა ეთქვათ ახალი სპორტული ლიტერატურის გამოცემის თაობაზე.

— 1972 წელს ბევრ საინტერესო წიგნს შევთავაზებთ სპორტის მოყვარულთ, — თქვა „საბჭოთა საქართველოს" მხარეთმცოდნეობის, სპორტული და ტურისტული ლიტერატურის რედაქციის გამგემ ნ. ძოწენიძემ. — უდავოდ საინტერესოა სპორტული ჟურნალისტის ნოდარ გუგუშვილის წიგნი „საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიადებზე". ეს ნაშრომი ქართული სპორტის დიდ აღმავლობაზე მოგვითხრობს.

საქართველოს ალპურმა კლუბმა მოამზადა წიგნი გამოჩენილ მთამსვლელზე მიხეილ ხერგიანზე. კრებულში შევიდა დენეზა გოზალიშვილის, ოთარ გიგინეიშვილის, ნიკოლოზ ონიშჩენკოს, ავთანდილ ციბაძისა და სხვათა ნარკვევები, მოთხრობები, ლექსები. წიგნს დართული აქვს ფოტოსურათები.

როგორც იცით, ჩვენს გამომცემლობაში გამოდის სპორტული წიგნები „ლელოს" ბიბლიოთეკის" სერიით, — განაგრძობს ნ. ძოწენიძე. — 1972 წელს დაისტამბება ანზორ მარტყოფლიშვილის „ქართველი ფალავნები კიმონოთი", რომელიც ჩვენს ძიუდოისტებს ეძღვნება. გამოვა სპორტის ოსტატ ეთერ ხახუბიას „სილამაზის ოსტატები", რომელიც პირველი წიგნი იქნება ჩვენს ტანმოვარჯიშე ქალებზე.

ფეხბურთის გულშემატკივრები ალბათ დიდი ინტერესით შეხვდებიან მიხეილ მესხის წიგნს მის საფეხბურთო მოღვაწეობაზე, ფიქრებსა და განცდებზე.

ბევრი წიგნი მიეძღვნება ტურიზმსაც. მეტწილად ეს გზამკვლევებია. ისინი გამოიცემა რუსულ და გერმანულ ენებზეც.

გამომცემლობა „ნაკადულის" მეცნიერულ-პოპულარული და სათავგადასავლო ლიტერატურის რედაქციის გამგემ ლ. ბოგოხიამ გვითხრა:

— ნორჩ მკითხველებს რამდენიმე წიგნით გავახარებთ. გამოჩენილმა მთამსვლელმა ქალმა ალექსანდრა ჯაფარიძემ შემოგვთავაზა მორის ერცოგის „ანაპურნის" თარგმანი. როგორც გეხსენებათ, ერცოგი 1950 წელს ჰიმალაის მთებში ამ 8000-მეტრიან მწვერვალზე პირველი ლაშქრობის მეთაური იყო. მის წიგნში მიმზიდველადაა აღწერილი ეს ძნელი ექსპედიცია.

მთამსვლელობის მოყვარულებს კარგი წიგნი დაუწერა ახალგაზრდა მწერალმა მირონ ხერგიანმა საბჭოთა მთამსვლელობის სიამაყეზე — მიხეილ ხერგიანზე. ეს წიგნი ჩვენი რედაქციის დაკვეთით შეიქმნა. მირონმა კარგა ხანს დაჰყო მესტიაში „კლდის ვეფხვის" ახლობლებთან, მეგობრებთან.

ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი ეტიუდისტი ველიმირ კალანდაძე თავისი პირველი წიგნით („100 ეტიუდი") ფართო მკითხველის წინაშე წარსდგება.

რა თქმა უნდა, წლეულსაც გამოვცემთ მსოფლიო პირველობაზე ნონა გაფრინდაშვილისა და ალა კუშნირის მატჩისადმი მიძღვნილ წიგნს, როგორც ეს უკვე სამჯერ გაკეთდა. წლეულს ნონას ხომ მეოთხედ მოუწევს დედოფლის ტახტის დაცვა!

ჩვენ გვსურს ნორჩ თაობას მიმზიდველი წიგნები მივაწოდოთ. ამიტომ რედაქციამ დახმარება სთხოვა რამდენიმე გამოჩენილ სპორტსმენს. წიგნებს გვიწერენ მძლეოსანი რობერტ შავლაყაძე, ხელბურთელი ჯემალ ცერცვაძე და სხვები.

დასასრულს მინდა აღვნიშნო ჟურნალისტ გვანჯი მანიას „ოქროს საწმისი". ამ წიგნში ამაღელვებლადაა ნაამბობი თვითნაკეთი ხომალდის „ოქროს საწმისის" მოგზაურობაზე.

— „განათლებას" უაღრესად ძნელი ამოცანა აკისრია: გამოსცეს სახელმძღვანელოები და მეთოდური ლიტერატურა უმაღლესი სასწავლებლების, სკოლების, ტექნიკუმების, სხვადასხვა დარგის სასწავლებლებისთვის — უთქვა გამომცემლობა „განათლების" მთავარმა რედაქტორმა გ. ხურცილავამ. — ამასთან, ჩვენი საგამომცემლო გეგმები, რა თქმა უნდა, სპორტულ-მეთოდურ ლიტერატურასაც უნდა ითვალისწინებდეს. გამოტეხილად გეტყვით: ძალიან გვინდა გამოვცეთ სკოლებისთვის ფიზკულტურის სახელმძღვანელო, მაგრამ არავინ აღმოჩნდა დამწერი. ასეთი წიგნი ნამდვილად საჭიროა. იგი, სხვათა შორის, რუსულ ენაზეც არ არსებობს. სამწუხაროდ, ჩვენში არც მეთოდური ლიტერატურა იწერება.

რით გავახარებთ წლეულს სპორტის მოყვარულთ? ჩვენი წინადადებებით თენგიზ გიორგაძემ გადაამუშავა თავისი სახელმძღვანელო „ჭადრაკის ანბანი" და მას დიდი ტირაჟით გამოვცემთ.

ჭადრაკს საქართველოში ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. სწორედ ამ გარემოებამ გვიკარნახა ალმანახ „ჭადრაკის" გამოცემა. როგორც იცით, შარშან ალმანახის ორი ნომერი გამოვიდა. იგი საზოგადოებამ მოიწონა. ეს არც არის მოულოდნელი: მუშაობაში ყველა ჩვენი ცნობილი მოჭადრაკე ჩაება. ჩვენი მიზანია, რომ ალმანახი იყოს არა მარტო ჭადრაკის გამავრცელებელი, არამედ მასწავლებელიც, თეორიული და ისტორიული საკითხების დამმუშავებელი, კომპოზიციის განვითარების წინამძღოლი. ალმანახმა მეთოდური დახმარება უნდა გაუწიოს მწვრთნელებს, მზარდ მოჭადრაკეებს, ახალბედებს. ამიტომ წლეულს ალმანახის ოთხი ნომერი გამოვა.

## ქალაქის საპატიო სპორტსმენი

ლენინაბადი. 20 წელი გახდა, რაც აქაური მკვიდრი, 60 წლის აბიბულა აბლიაკიმოვი ზამთრის ცურვას მისდევს. იგი ყოველ დილით მდინარის სტუმარია. ვეტერანს ვერ აშინებს თხელი ყინული სირდარიის ნაპირებზე — გაცურავს რამდენიმე ასეულ მეტრს და სირბილით ბრუნდება შინ. მას ვერც პაპანაქება სიცხე უშლის ხელს: სიღრმის წყაროების ყინულოვანი წყალი მდინარის განსაზღვრულ მონაკვეთზე წლის ნებისმიერ დროს დაბალ ტემპერატურას ინარჩუნებს.

აბლიაკიმოვის მეგობრებმა თავისებურად აღნიშნეს მისი „იუბილე": ვეტერანს ბანაობის დამთავრებისთანავე გადასცეს ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო კომიტეტის სიგელი, რომლითაც მას ქალაქის საპატიო სპორტსმენის წოდება მიანიჭეს.

აბლიაკიმოვი რკინასავით კაცია და ეს შრომაშიც ეხმარება: აბიბულა 30 წელია ტაქსის შოფრად მუშაობს და „ვოლგით" შემოიარა თითქმის 600 ათასი კილომეტრი ისე, რომ კაპიტალური რემონტი არ დასჭირვებია. თავის ავტობაზაში აბლიაკიმოვი რეგულარულად ატარებს მეცადინეობას „ჯანმრთელობის ჯგუფებთან" და „ლომვეშაპების" სექციას ხელმძღვანელობს.

## ოჯახები გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე

ტალინი. „კალევის" აუზში ჩატარდა ესტონეთში პირველი შეჯიბრება ოჯახებს შორის. მოცურავეები მთელი ოჯახებით გამოდიოდნენ. ესტაფეტები 20-მეტრიან დისტანციაზე ეწყობოდა.

საპატიო კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე ავიდნენ 10 წლის ეტ ჰუნტი, მისი 12 წლის ძმა მათსი და მამა — თეატრ „ესტონეთის" ორკესტრანტი პეეტერ ჰუნტი. მათმა „ტრიომ" I ადგილი დაიკავა.

პ. ჰუნტი მალე სპორტის ოსტატი გახდება ტურიზმში. მას ბაიდარით იმიერპოლარეთიც კი აქვს მოვლილი. ვაჟი ზღვაში ცურავს ნავით, რომელსაც სახელად „კადეტი" ჰქვია. ქალიშვილი ცურვის სკოლაში მეცადინეობს.

ყველაზე მეტ მონაწილეს თავი მოუყარა „კვარტეტების" შეჯიბრებამ. აქ უძლიერესი იყო წყალბურთელთა მწვრთნელის, წარსულში ცურვაში ესტონეთის მრავალგზის ჩემპიონის პაულ ავურაიუას ოჯახი. პაულმა თავის ვაჟთან ტოომასთან, ძმისწულებთან პეეპთან და ჰილართან ერთად საგრძნობლად ჩამოიტოვა დანარჩენი „გუნდები".

გადაწყდა ეს შეჯიბრება ტრადიციად დამკვიდრდეს.

ზ. იასტრებოვი.

ენამწარე უნგრელი გულშემატკივრები სარკაზმით შეხვდნენ ქალთა ფეხბურთს:

„როგორც იქნა მივაგენით გზას, რომ მსოფლიოში გამორჩეულნი ვიყოთ! თუმცა ჩვენთვის ეს მაინცდამაინც გასაკვირი არ არის — ვაჟთა გუნდები დიდი ხანია ისე ურტყამენ კარში, რომ თამამად შეიძლება ქალთა კატეგორიას მივაკუთვნოთ..."

ასეა თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს. მაგრამ ის, რომ ქალთა ფეხბურთმა უნგრეთში პირველი ნაბიჯები წარმატებით გადადგა, დღეს უკვე ცხადია. 1897 წელს ალბათ ასე 200 მდე უსაქმური თუ იქნებოდა უნგრეთის ვაჟთა ფეხბურთის პირველი წამოწყების მოწმე. სამაგიეროდ, ქალთა ფეხბურთში პირველი ჩემპიონატის მატჩს, რომელიც წლეულს აპრილში ჩატარდა, ათასი ახალგამომცხვარი ენთუზიასტი მაინც დაესწრო. ეს პირველი შეხვედრისთვის არც ისე ცოტაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მატჩი ჩატარდა პატარა პროვინციულ დაბაში, მდელოზე, რომელიც მანამდე ბატების სამყოფელი იყო. ფინალურ თამაშებზე კი ივლისში დედაქალაქის სტადიონის ტრიბუნებზე გაჰყვიროდა, ფეხებს აბრახუნებდა, აღშფოთებას გამოთქვამდა და ზეიმობდა უკვე ოთხი ათასი თავგამოდებული გულშემატკივარი.

სარბიელზე გამოსვლამდე ყველა ფეხბურთელმა ქალმა წლები წოშეეცვალა და ახლა გოლების დედოფლის სახელი დაისაკუთრა ფეხბურთელ ქალთა პირველ ჩემპიონატში. მან გვერდიდან მიიღო დაბალი ბურთი, ჰაერში გაიშალა და ნახევარბრუნით გატანა უძლიერესი გოლი კარის ზედა კუთხეში. ასეთი ფენომენალური ნახტომის დანახვაზე ტრიბუნებზე ხალხი გაშმაგდა. მაყურებლები გაჰყვიროდნენ, ტაშს უკრავდნენ, ვილაცა გავარდა, რომ მაღალი, ეშხიანი, შავგრემანი ქალიშვილისთვის ყვავილების თაიგული ეძღვნა.

პრიზები დარიგდა გამარჯვებულებს მიულოცეს — უნგრელი ქალების პირველი ჩემპიონატი დამთავრდა. ოდნავაც არ გვეეჭვება, რომ ეს შეჯიბრება გაისადაც ჩატარდება.

პალ კეტერდი.

(„ვენგერსკიე ნოვოსტი", № 10, 1971 წ.).

* * *

სურათზე: ბრძოლა მართლაც ვაჟკაცურად მიმდინარეობს — „ვაჟკაცური ფეხბურთის" ყველა წესით.

ლ. ალმაშის ფოტო.



# ქალები ფეხბურთელის მაისურებით

ანდომა სპორტულ მომზადებას, რომელიც, განსაკუთრებით ფიზიკურად, ძევრად აღემატება ამავე კლასში მოთამაშე ვაჟთა მზადყოფნას. ამ ქალებიდან უწინ ყველა ჩემპიონის დონეზე ასპარეზობდა სპორტის რომელიმე სახეობაში. თავდაპირველად ჩვენ მხოლოდ გაოცებული ვიყავით, როცა, მაგალითად, ევა ბარტამ სამჯერ აკუნწლა თავით ბურთი, მერე კი ქუსლით ისროლა მეტოქის თავს ზემოთ... უწინ იგი მაგიდის ჩოგბურთს თამაშობდა ერთ ერთ ყველაზე პოპულარულ სპორტულ კლუბში „ფერენცვაროშში", ახლა კი მეცხრე ნომრით გააქვს გოლები „ფემინას" გუნდის სასახელოდ.

ნადაშ გეზანე ხელბურთელთა გუნდის მეკარე იყო.

— მე მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ვიქნებოდი, სიმაღლეში ერთი ათი სანტიმეტრი მაინც რომ მომმატებოდა, — ამბობს იგი.

მაგრამ ნადაშს სიმაღლე არ მოემატა და პატარა, ჩასკვნილი გოგო დარჩა. მიუხედავად ამისა, სწორედ ის იქცა ქალთა ფეხბურთის ყველაზე გამოჩენილ ფიგურად. ბურთის მიღების ტექნიკით ნადაში პუშკაშს გვაგონებს, ინტელექტით კი ბოჟიკს... შესაშური შეხამებაა!

— ევააა!.. — უყვირის იგი, როცა ჯერ კიდევ ვერავინ გრძნობს საფრთხეს. ევა მყისვე უნდა მოეწყდეს ადგილს. დარწმუნებული იყავით, როცა იგი მითითებულ ადგილს მიაღწევს, უკვე დახვდება ბურთი, რომელსაც ფეხი უნდა დაარტყას და კარში შეაგოროს.

ჟუჟა ფორგაჩი კლუბ „მეტეორიტის" ხელბურთის გუნდში თამაშობდა. იგი ნაკრების კარიბჭესთან იდგა, მაგრამ მერე გადაწყვიტა მაისური

◆ ეუტალი, 3 იანვარი. შვეიცარიისა და გდრ-ის წარმომადგენელთა შორის შვეიცარიის ამ პატარა ქალაქის მახლობლად გამართულ სათხილამურო რბოლაში ყველა საპრიზო ადგილი სტუმრებმა დაიკავეს. 15-კილომეტრიან დისტანციაზე I ადგილი დაიკავა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა გ. გრიმერმა — 57.09. მეორე იყო ა. ლესერი — 57.38. მასპინძელთაგან საუკეთესო — ა. კელინი მხოლოდ VII ადგილზე გავიდა — 1:02.07. 5 კილომეტრზე ქალთა რბოლაში გაიმარჯვა რ. ფიშერმა — 22.06.

◆ მელჰი (ნორვეგია), 3 იანვარი. აქ გამართული 40-კილომეტრიანი სათხილამურო რბოლა ერთ-ერთმა მასპინძელმა, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა პ. ტილდუმმა მოიგო — 2.00.03. II ადგილზე 50 კილომეტრზე რბევაში გრენობლის „თეთრი ოლიმპიადის" ჩემპიონი ო. ელეფსეტერი (ნორვეგია) — 2.00.17, III — 15-კილომეტრიან დისტანციაზე გრენობლის ზამთრის თამაშების ჩემპიონი, ასევე ნორვეგიელი ჰ. გრონნინგენი — 2.02.14.

◆ ბრატისლავა, 3 იანვარი. სსრ კავშირის მოსწავლე-მოჭადრაკეთა ჩემპიონმა, ოსტატობის კანდიდატმა, 18 წლის ა. პანჩენკომ (ჩელიაბინსკი) ყველას აჯობა სლოვაკიის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში იუნიორთა შორის — 9 ქულა. მას 0,5 ქულით ჩამორჩა კუბენი (პოლონეთი). 6,5 ქულით III ადგილზეა პრუნდიანუ (რუმინეთი).

◆ გრონინგენი, 3 იანვარი. იუნიორ მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე ევროპულ ჩემპიონატში 2 ტურის შემდეგ მოსკოველი ა. გორჩაკოვი ლიდერთა საშუალოშია. მას, ისევე როგორც ბულგარელ ველიკოვსა და უნგრელ საქსს, 1,5 ქულა აქვს

◆ ჰასტინგსი, 3 იანვარი. აქ მიმდინარე ტრადიციულ საახალწლო ტურნირში 5 ტურის შემდეგ დაწინაურდა ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი ა. კარპოვი. ამ 20 წლის დიდოსტატმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა რუმინელ მოჭადრაკე ჩოკილტიასთან და მოუგო ინგლისელებს ჰარტსტონს, ბოტერილს, აგრეთვე, ამერიკელ ბირნს. კარპოვის თანაქალაქელი დიდოსტატი ვ. კორჩნოი ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11. უე 02503